

გვიდოსავენ

ელი. ჩემი უფრო დიდი სიამაყე კი ამ სკოლის კურს-დამთავრებულობაა!

ასე, რომ მაქვს განათლების მშობლიური კერა, რომელიც ჩემი ცხოვრების ფესვიცაა და გვირგვინიც.

ამავდროულად მაქვს იმედი, რომ თქვენი თანადგო-
მით სულ ნედლი და კორბოულის მიწაში ღრმად გან-
ტოტვილი იქნებიან ეს ფესვები.

ბევრად არჯევანიძე, სკოლის დირექტორი, საჩხერის საპატიო მოქალაქე, ორგზის ღირსების ორდენის კავალერი



მაქს პატივი, დაარსებიდან 150 წლის
იუბილე მიუვლოცო კორპორულის №1 საჯა-
რო სკოლას. ეს ისტორიული თარიღი ნათ-
ლად წარმოგვიდგენს, თუ რაოდენ დიდი
წვლილი აქვს შეტანილი განათლებისა და
კულტურის ამ მართლაც, უმნიშვნელოვა-
ნეს კერას კორპორულში დაბადებული ახალ-
გაზრდების აღზრდა-განათლების, მათი ავთენტური უნა-
რების განვითარებისა და ქვეყნის ღირსეულ მოქალაქებად
ჩამოყალიბების საქმეში, რაც ზოგადად, ჩვენი რაიონის
ინტელექტუალური პოტენციალის გაზრდას უწყობდა ხე-
ლს. ამ სკოლის კედლებში, თავის პროფესიაზე უსაზღვროდ
შევარებული მასნავებლების მეშვეობით, მეცნიერული
ცოდნის საფუძვლებს ენაფებოდნენ თაობები, შემდეგ კი,
დამოუკიდებლად მიიკვლევდნენ გზებს ცხოვრების ფართო
ასპარეზზე.

ამაგდარ პედაგოგთა შორის, ერთ-ერთი გამორჩეული იყო ქალბატონი ქრისტინე სარშილაძე, ვის სახელსაც სკოლა ატარებს.

მინდა, მთელი გულით მივულოცო საიუბილეო თარიღი
ამ ლამაზი სოფლის მაცხოვრებლებს, მრავალრიცხოვან
აღზრდილებს, მოსწავლეებს, მათ შშობლებს და მადლობა
კუთხრა სკოლის თითეულ პედაგოგს დაუდალავი შრომი-
სათვის, ყოველდღიურად რომ ეწევიან მომავალი თაობის
სწავლა-განათლების საშვილიშვილო საქმეში. ვუსურვებ,
კიდევ მრავალი ლირსეული მამულიშვილი აღეზარდოთ ჩვე-
ნი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ცისმარი მაჭარაშვილი. საჩეროს საგანმანათლებლო
რესურსცენტრის უფროსი.



A black and white portrait of David B. Gogebashvili, a young man with dark hair and a mustache, wearing a suit and tie. He is looking slightly to his left with a neutral expression.

გულწრფელად ვულოცავ ჩემს უძვირფასეს საგანძურს – ჩემს ლეგენდარულ სკოლას დაარსებიდან 150 წლის იუბი-

მორავის მაზრაში ანთეგედი პირველი ჩირკოლდანი

ქალაქ საჩხერიდან თხუთმეტიოდე კილომეტრის
მოშორებით, ლამაზ მთა-გორიან, ბუნების მშვენიერე-
ბით შემკულ მიდამოზე გაშლილია დიდი ისტორიული
ნარსულის მქონე სოფელი კორბოული. იგი ერთ-ერთი
უძველესი დასახლებაა, რასაც ადასტურებს ადგილზე
აღმოჩენილი ძვ. წ. VII-VI საუკუნეების დიდალი არ-
ქეოლოგიური მასალა.

სოფ. კორბიული მდიდარია ბუნებრივი რესურსებით, მაგრამ მთავარ სიმდიდრეს, პირველ რიგში, მისი აღალმართალი და სტუმართმოყვარე მშრომელები წარმოადგენენ თავისი მაღალი ინტელექტით, გამორჩეული ადამიანებით – უაღრესად განათლებული და კულტურული ხალხით.

2022 წელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოფ. კორპორაციულისა და მის ახლოს მდებარე სოფელთა მკვიდრთათვის, რადგან სწორედ ამ წელს შეუსრულდა ჩვენი მშობლებისა და უახლოესი წინაპრების საგან-მანათლებლო კერას (ამჟამად ქრისტინე ხარშილაძის სახელობის სსიპ – საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფ. კორპორაციულის 1 საჯარო სკოლას) ღირსშესანიშნავი თარიღი – დაარსებიდან 150 წელი.

1872 წელს სოფ. კორბოულში სახელმწიფო დაქვემდებარების ერთკვლასიანი სასოფლო დაწყებითი სკოლის დაარსების ფაქტს ადასტურებს მრავალი ლიტერატურული წყარო, რომელთა შორის უნდა დავასახელოთ სხვადასხვა წლებში გამოცემული კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველთა ანგარიშები: „Отчеть Попечителя Кавказского Учебного Округа о состоянии учебных заведений за годъ“, რომლებსაც თითქმის პერიოდული გამოცემის ხასიათი ჰქონდა; უურნალ „კავკაზსკი კალენდრის“ 1890/91 წლის გამოცემა (მეორე განყოფილება, გვ. 128/129); უურნალი „Обзор Кутаисской губернии“ და სხვა.

როგორც ისტორიული დოკუმენტები გვამცნობენ,
1872 წლის შემდეგ შორაპნის მაზრაში ბევრგან გახ-
სნილა სკოლა, მაგრამ არასათანადო პირობების: უს-
ახსრობის, არასაკმარისის კვალიფიკაციის მქონე პედ-
აგოგების, სათანადო შენობის არარსებობისა თუ სხვა
მიზეზთა გამო ზოგიერთ მათგანს მალევე შეუწყვეტია
არსებობა, მაშინ როდესაც კორპორულის პირველ სა-
ჯარო სკოლში დღესაც, 150 წლის შემდეგაც რეკავს
ზარი და სწავლა-განათლების მისაღებად ეპატიუება
სწავლის მსულებელ ახალ-ახალ თაობებს.

ლეს და ვუსურვებ პედაგოგებს, მოსწავლეებსა და მშობლებს, კვალივაც ღირსეულად, კვლავაც სასახელოდ შეხვედროდენ მომავალ საიუბილეო თარიღებს.

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, ბრინჯაოს მედლისა
და ორგზის ლირსების ორდენის კავალერი, მრავალი წიგნის
ავტორი, ამავე სკოლის კურსდამთავრებული



დღეს ჩემი საამაყო კორბოულის №1სავა-
რო სკოლა იუბილარია, მას დაარსებიდან 150
წელი შეუსრულდა. იგი იყო პირველი ცოდ-
ნის ტაძარი არა მარტო ჩვენს სოფელში, არ-
ამედ ყოფილ შორაპნის მაზრაში. მინდა ჩემი
მადლიერება გამოვხატო მშობლიური სკოლის
ელიც ახლაც წარმატებით ემსახურება იმ საქმეს,
ქვეყნის მომავალი თაობის აღზრდა ჰქვია. ამ
დესი წვლილი მიუძღვის ჩემი და სხვა უამრავი
რებულის მომავლის განსაზღვრაში. მე მქონდა
შლის განმავლობაში მესწავლა მის კედლებში.
თანადგომისათვის, ხელშეწყობისათვის და იმ
ის, რომელიც ჩემს პიროვნულ განვითარებაში
იღის ამაგდარმ მასწავლებლებმა.

კიდევ ერთხელ გილოცავთ საიუბილეო წელს და გისურ-
ვებთ, არ დაგლორდეთ მადლიერი, წარმატებული და ღირსეუ-
ლი ალსაზრდელები.

გელა მაჭარაშვილი
კორპორაციის N2 საჯარო სკოლის დირექტორი

ტყვი, რომ კორპორაციის სკოლას ღმერთის მადლიანი ფრთა თუ არ შეხებია, მისი ანგელოზის ძლიერი მონასტერი სიონ ნამდვილად მისწვდა და იმითაა, რომ დღემდე, საუკუნენასხვრის განმავლობაში, ასეთი გმირული შემართებით იღწვის საკუთარ პროფესიაზე უზომოდ შეყვარებულ პედაგოგთა უძლიერესი გუნდით, რომელსაც ეჭვგარეშეა ყოველთვის ხელს უწყობდა სოფლის მონინავე ინტელიგენცია და ახალგაზრდა თაობის ინტერესი ცოდნის შეძენისათვის. რაც, როგორც ჩანს, თავიდანვე იგრძნობოდა, რადგან ჯერ კიდევ 1875 წელს გაზეთი „დროება“ წერდა:

„... შენიშვნულია, რომ ყველაგან, სადაც კი იხსნება ჩვენში სასოფლო შკოლა, ხალხი დიდის ხალისით აგზავნის შვილებს. იმერეთის ხალხის სურვილი და ლტოლვილება სწავლისადმი მაინც განსაკუთრებით შესანიშნავია. სიღარიბისაგან შევიწროებული ხალხი არავთარ ღონისძიებას არ ზოგავს, უკანასკნელ გროშს აძლევს, ოღონდ კი შკოლა გახსნან და შვილებს ასწავლონ რამე. ფეხშიშველა, უქადო, გლეხის ყმანვილები ორი-სამი ვერსიდან დაიარებიან შკოლებში... (ს. მესხი)“.

ყველა სიკეთესთან ერთად, სახალხო განათლების
ამ უძველესმა ტაძარმა არა მხოლოდ სოფელს, არამედ
მთლიანად საჩხერის მაშინდელ რაიონს უმრავლა მოყ-
ვარე და მახლობელი ადამიანი. ამიტომ სადღესასწაუ-
ლოდ მართლაც აქვს საქმე. მისი საიუბილეო თარიღის
ამბავი კარგა ხანია გასცდა არა მხოლოდ ერთი სოფ-
ლის, არა მხოლოდ ერთი მუნიციპალიტეტის, არამედ
– იმერეთის მხარის მრავალი მუნიციპალიტეტის ფარ-
გლებს და საერთო სახალხო ზეიმად იქცა, რომელ-
ზეც მხრებგაშლილი, გულგახსნილი ამაყად მდგარი
იუბილარი ცოდნის ტაძარი, თავისი მრავალწევრიანი
ოჯახით, ცნობილი იმერული მასპინძლობით უქმობს
ყველა კეთილის მსურველს.

გარნშტენებთ, ნამდვილად საუცხოო სურათი გა-
დაეშლებათ ზეიმის მონაწილეებს, რადგან ძველი შე-
ნობის ნაცვლად დახვდებათ ახალი, თანამედროვე ტი-
პის საჯარო სკოლის შენობა, ფართო კორიდორებით,
ნათელი საკლასო ოთახებით, თანამედროვე სასკოლო
ავეჯით, კაბინეტ-ლაბორატორიებით, სპორტული
დარბაზითა და მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების
განვითარებისათვის საჭირო კლუბით, რისთვისაც დიდ
მადლობას უჭედით ეკონომიკის მეცნიერებათა დო-
ქტორს, საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეს, ქველ-
მოქმედს, მეცნიატსა და პოლიტიკოსს ბატონ ბიძინა
ივანიშვილს.

თუ ზემოალნიშნულთან პარალელს გავავლინ, ვი

ფასენალების ლვანი

სოფელ კორბოლის მცვიდრთა, მისი ინტელიგენციისა და მშრომელთაოვის უზომოდ საამაყოა ის ფაქტი, რომ ყოფილ შორაპნის მაზრაში, რომელიც მოიცავდა დღევანდელი საჩხერის, ჭიათურის, ზეგასტონის, ხარაგაულისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებს, პირველად (!) სახელმწიფო დაქვემდებარების ერთკალასინი სასოფლო დაწყებითი სკოლა გაიხსნა სხორცედ კორბოლში 1872 წელს. იგი ქუთაისის გუბერნიის მასშტაბითაც კი, ერთ-ერთი პირველი სასწავლებელი იყო.

1873 წელს კორბოულის ერთკლასიან სასოფლო დაწყებითი სკოლაში მასწავლებლად დაინიშნა ქუთაისის 4-კლასიანი სასულიერო სასწავლებლის კურსდამთავრებული ილარიონ მაჭარაშვილი. 1878 წ. იმერეთის ეპისკოპოსმა, მისმა უწმინდესობამ გაბრიელ ქიქძემ დაათვალიერა სასწავლებელი სოფ. კორბოულში, სადაც მათმა მუზებამ ღამე გაათა. მეორე დღეს გამოცადა მონაფები და დარჩა კმაყოფილი. მონაფები დაჯილდოვა საჩუქრით, ათი თუმანი (100 გ.) ფულით, რომლითაც მათ შეუძინეს საცვლები და ამ სახედ დიდად წახალისდნენ მონაფები სწავლით, ხოლო მასწავლებელი ილარიონ მაჭარაშვილი – მთავარი დიაკვნობის ხარისხის კურთხევით.

მომდევნო წლებში კორბოულის სკოლაში უარდესად აქტიურ და ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ ასევე მასნავლებლები: ტრიფონ ღამბაშიძე, გიორგი გუჯეჯიანი, ლავრენტი ხარშილაძე, სერგი მაჭარაშვილი, სპირიდონ აბულაძე და სხვები. ასევე მზრუნველები: სიმონ ხითარიშვილი, ოქროპირ ხარშილაძე.

1904 წლის 16 ნოემბერს მასნავლებელი ილარიონ მაჭარაშვილის ძალისხმევით სკოლა 2 კიდასიანად გადაკეთდა, 1922-23 წლებში უმაღლეს დაწყებით სასწავლებლად, 1926 წელს 7 წლიან შრომის სკოლად, ხოლო 1936 წელს მოხდა კიდევ უფრო სასიხარულო მოვლენა: კორპორულის არასრულმა საშუალო სკოლამ – საშუალო სკოლის სტატუსი მიიღო. აქედან მოყოლებული იგი უწყვეტად და წარმატებით ფუნქციონირებს დღეს უკვე საჯარო სკოლის სახელით.

საუკუნენახევრის განმავლობაში ამ კერაზე მოღვაწეობდნენ სახელმოვანი პედაგოგები, ქვემარიტად სახალხო მასწავლებლები, რომელთა ერთგულებით, შრომითა და რუდულებით აღიზარდა არაერთი ლირსეული თაობა. ფასდაუდებელია მათი დღაწლი მომავალი თაობების წინაშე. ყველა მათგანის ჩამოთვლა არც ისე იოლი საქმეა (ცოხვო მომიტევონ), მაგრამ შეუძლებელია არ დაგასახელოთ პედაგოგები: ლიზა მაჭარაშვილი, ისაკი ტაბატაძე, ბეგლარ არჯევანიძე, სიმონ მაჭარაშვილი, ქეთევან მოსაშვილი, უუჯუნა კაპანაძე, არჩილ მაჭარაშვილი, ალიოშა ნოზაძე, მიხეილ ტაბატაძე, ანდრო მაჭარაშვილი, ქრისტინე ხარშილაძე, თამარ ხუროშვილი, ალიოშა მაჭარაშვილი, ნაზი მაჭარაშვილი, ნათელა ტაბატაძე, პეტრე გოგატიშვილი, საშა დარბაიძე, მარიამ კულიჯანოვა, ნანი ლომიძე, შალვა მაჭარაშვილი, გიორგი (ჟორა) დარბაიძე, აქევსენტი მაჭარაშვილი, ვალ-ოდია მაჭარაშვილი, იაშა მაჭარაშვილი, გერონტი ტალახაძე, თელო მაჭარაშვილი, გიორგი (ჟორა) არჯევანიძე, გულანკო კაპანაძე, ოთარ მაჭარაშვილი, ილია კვიშინაძე, მარიამ ქემერტელიძე, ვაჟა კაპანაძე, ეთერ გორგოძე, გერონტი ჩაჩანიძე, ვარა კაპანაძე, თამარ ნოზაძე, მაშო დარბაიძე, ქიონისა ტაბატაძე, მალონა ტაბატაძე, დალი ტაბატაძე, პეტრე ლაბაძე, ბეჟან ტაბატაძე, ბიძინა შუბითიძე, ვახტანგ მაჭარაშვილი, ქეთევან ნოზაძე, დიმიტრი (მიტუბა) კაპანაძე, შოთა კაპანაძე, ასმათ ქავთარაძე, ზანი გიგიაძე, ნუნუ შეყ-ლაშვილი, გურამ ლომიძე, უუჯუნა არჯევანიძე, უუჯუნა მენთეშაშვილი, ნესტან ლომიძე, ელია შებითიძე, ანზორი მაჭარაშვილი და სხვები.

კორბლულის სკოლას შეუძლია იამაყოს, რომ ყოველთვის უნარიანი და საქმის მცოდნე ხელმძღვანელები უდგნენ სათავეში, ალბათ ამაშიცაა 150 წლის მანძილზე სკოლის წარმატების ერთ-ერთი საიდუმლო. საშუალო სკოლად გარდაქმნის (1936წ.) შემდეგ სკოლის დირექტორებად მუშაობდნენ:

- კაპანაძე ერასტი ილიას ძე (1936-1939 წწ.)
 - მაჭარაშვილი ზაქრო არტემის ძე (1939 წ.)
 - გუჯაბიძე ალექსანდრე პოლიანტის ძე (1939-40 წწ.)
 - მაჭარაშვილი ვასილ ბესარიონის ძე (1940-1941 წწ.)
 - ზარანდია ნექტარიოზი (1941 წ.)
 - ნოზაძე პავლე დავითის ძე (1942-1944 წწ.)
 - შუბინიძე პეტრე არსენის ძე (1944-1947 წწ.)
 - ჩიხელი ივანე (1947-1948 წწ.)
 - ტაბატაძე გიორგი მაკარის ძე (1948-1950 წწ.)
 - ფარციძე ივანე ილარიონის ძე (1951-1953 წწ.)
 - მაჭარაშვილი ანდრო ივანეს ძე (1953-1957 წწ.)
 - კაპანაძე სერგო სერაპიონის ძე (1957-1959 წწ.)
 - დარბაძე ალექსანდრე (საშა) არჩილის ძე (1959-1963 წწ.)
 - კაპანაძე სერგო სერაპიონის ძე (1963-73 წწ.)
 - მაჭარაშვილი ანდრო სიმონის ძე (1973-1989 წწ.)

1989 წელს ანდრო სიმონის ძე მაჭარაშვილის პენსიაზე გასვლის შემდეგ, დირექტორად ამავე სკოლის აღზრდილი, ბეგლარ გიორგის ძე არჯევანიძე დაინიშნა, ნამდვილად გამორჩეული პიროვნება, რომელიც უკვე 33 წელია ღირსეულად აგრძელებს წინამორბედთა ტრადიციებს. საკმარისია აღინიშნოს, რომ მომავალი თაობების აღზრდა-განათლების საქმეში შეტანილი დიდი წვლილის, ნაყოფიერი პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის, ორჯერ დაჯილდოვდა ღირსების ორდენით 2001 და 2012 წლებში, ხოლო 2021 წელს საჩერის საპატიო მოქალაქეს წოდება მიენიჭა. ეს იყო განვლილი თუეული

მათი აგანი დაუვიწყარის და თაობილან თაობას გადაეცეა

ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, **გალაკტიონ ტაბიძის** ძმისშვილი და მისი შემოქმედების მკვლევარი ნოდარ ტაბიძე წერდა: „**ბედი სოფლისა მშობლის ბედს ჰედა ჰედა**. მისი დიდება სახელმოვან შვილებს მოაქვთ...“

სიამაყით უნდა ითქვას, რომ კორბოლის სკოლამ დაურნია აკვანი არაერთ აკადემიკოსს, მეცნიერებათა დოქტორს, სოციალისტური შრომის გმირს, საქართველოს სასრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, ლენინის თრდენოსანს (მათ შორის სამზინის), სამედიცინო, საინჟინრო-ტექნიკური და სოფლის მეურნეობის დაწესის სპეციალისტს, განათლების, ხელოვნების, კულტურისა და სპორტის სფეროს თვალსაჩინო

წლების განმავლობაში სკოლის დირექტორად უწყვეტი და წარმატებული მუშაობის ერთ-გვარი შევამება.

2015 წელს გამოიცა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პრძანება, საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის №1 საჯარო სკოლიათვის საქართველოს დამსახურებული პედაგოგის, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანის, დიდი სამამულო ომის პირველი ხარისხის მრდენის, ხალხთა მეგობრობის ორდენის, საპატიო ნიშნის ორდენის, ღირსების ორდენისა და მრავალი საბრძოლო მედლის მფლობელის, 1949 წლიდან ამავე სკოლის მათემატიკის მასწავლებლის, თაობათა აღმზრდელის, ქრისტინე ხარშილაძის, სახელის მენიჭების შესახებ, რასაც სკოლაში სპეციალური საზემო ღონისძიება მიეძღვნა. ამასთან დაკავშირებით გამოიცა წიგნი „ზნეობის გაკვეთილი“.

გრძელდება კვალი ნათელი, გრძელდება ტრადიცია. ქრისტინე ხარშილაძის სახელობის სსიპ-საჩერის მუნიციპალიტეტის სოფ. კორბოულის №1 საჯარო სკოლის ხელმძღვანელთა და პედაგოგთა დღეს არსებული უძლიერესი გუნდი, კვლავაც საიმედო დასაყრდენია ქვეყნისათვეს სუკეთეს მამულიშვილთა ღირსეული აღზრდისათვეს: ავთანდილ მაჭარაშვილი, ვახტანგ კაპანაძე, ოსებ მაჭარაშვილი, გიორგი დეკანოვიძე, როსტომ ფოფხაძე, გელა მაჭარაშვილი, გიორგი კუჭავა, ზანი ხარშილაძე, ელენე ბუგიანიშვილი, ბელა გომართელი, თინათინ გაჩეჩილაძე, სოფიო ზაქაშვილი, დარეჯან კაპანაძე, ნანა კაციტაძე, ზოა მაჭარაშვილი, ლია მაჭარაშვილი, მაკა მაჭარაშვილი, როზა პაპუკიშვილი, ასმათ კეკენაძე, დიანა ხომასურიძე, ანგელინა ჯალაბაძე, მანანა აბრამიშვილი, სოფიო გომართელი, ელზა გაგნიძე, დარეჯან ლომიძე, ლალი სამხარაძე და მათთან ერთად ის კეთილშობილი ადამიანები, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ სასანავლო დაწესებულების გამართულ ფუნქციონირებას.

ვუსურვოთ დღეგრძელობა და წარმატებები დიდებული წარსულის, ბრწყინვალე ან-მყოსა და დიადი მომავლის მქონე იუბილარ სკოლას.



၁၇၃

წარმომადგენელს, მეზღვაურს, პიზნესმენს, უურნალისტსა და საზოგადო მოღვაწეს, შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების სამსახურის მუშაკს, სამშობლოს ლირსეულ და ერთგულ დამცველს, მამულისათვის გულანთებულ და გმირულად თავ-შეწირულ ვაკეს, სამშობლოს მრავალი ჯილდოს მიღლობელს, სასულიერო პირის.

პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა, აკადემიკოსმა, საქართ-

* თვალსაჩინოებისათვის დასახელებული არიან ძირითადად მეცნიერ-მუშაკები, რომელთაც დამთავრებული აქვთ სოფ. კორპორაციის №1 საშუალო სკოლა. საუკუნენახევრის მანძილზე ყველა სფეროში წარმატებული პირის ჩამოთვლა აღმართ შეუძლებელია, მიუხედავად მათი დიდი დამსახურებისა ჩვენი ქვეყნისა და ხალხის წინაშე.

სვეტი ნათლისა

ველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილემ (1973-1977წ.) - კარლო მაჭარაშვილმა, რომლის კვლევის საგანს რუსული ენის სწავლების და ახალგაზრდა თაობის აღზრდის საერთო პრობლემები შეადგენდა;

ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა, საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსმა კარპეზ კაპანაძემ, მრავალი ფუნდამენტალური ნაშრომისა და სახელმძღვანელოს ავტორმა;

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა, მრავალი წლის მანძილზე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორმა სამეცნიერო მუშაობის დარგში აღექსანდრე ნოზაძემ;

ბიოლოგის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა, ფიზიკური აღზრდის უმაღლესი სკოლის პედაგოგმა, წლების განმავლობაში კუბის სოც. რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებების მოღვაწე დავით მაჭარაშვილმა;

ბიოლოგის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა, 1956-1977 წლებში ბათუმის ბოტანიკური ბაღის დირექტორის მოადგილემ სამეცნიერო ნაილში, ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომელმა აღექსანდრე ციცვიძემ;

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა, მრავალი სამეცნიერო შრომის ავტორმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის ლექტორმა ლევან მდინარაძემ;

სკოლის ვერცხლისმედალისანმა (1950 წ.) და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ნარჩინებულმა (დაამთავრულ წითელ დიპლომზე 1956 წ.), მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა, მრავალი სამეცნიერო ნაშრომისა და მონოგრაფიის ავტორმა, სხვადასხვა სამეცნიერო და სასწავლო ინსტიტუტებში მოღვაწე ლექტორმა, ჯუმბერ მაჭარაშვილმა.

აკადემიკოს ნიკოლოზ მუსხელიშვილის სახელმწიფო კუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ლექტორმა, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატმა, სკოლის კურსდამთავრებულთა შორის პირველმა ოქროს მედალისანმა (1953-54 სასწ. წ.) სიმონ პაპიძემ;

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტისა და სხვა უმაღლესი სასწავლებლების ლექტორმა, მრავალი სამეცნიერო შრომის ავტორმა ბარნაპ კაპანაძემ;

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფიზიკის კათედრზე მოღვაწე მეცნიერ-მუშავმა, ფიზიკის დოქტორმა, დიდი მომავლის მქონე პიროვნება ბუხუტი კაპანაძემ;

პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა და თვალსაჩინო მოღვაწემ, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, გორის პედაგოგიური

ინსტიტუტის ლექტორმა, წლების განმავლობაში პედაგოგიკური გამგემ, პროფესორმა, 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი-მონოგრაფიის, დამსმარე სახელმძღვანელოების, მეთოდიკური მითითებებისა და წერილების ავტორმა, ლირსების ორდენის, იაკობ გოგებაშვილის სახელმწიფო მედლისა და საპატიო სიგელის მფლობელმა შეთა არსებისებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ლექტორმა, ტექნიკური მეცნიერებათა დოქტორმა, ბრინჯაოს მედლისა და ორგზის ლირსების ორდენის კავალერმა, მრავალი წიგნის ავტორმა, პუბლიცისტმა და საზოგადო მოღვაწემ რევაზ მაჭარაშვილმა;

ანასუულის სასოფლო-სამეურნეო კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელმა – ცეზარ მაჭარაშვილმა და სხვ.

კორპოულის სკოლაში სწავლობდა შემდგომში სოციალისტური შრომის გმირი (1958 წ.), სამგზის ლენინის ორდენისა და შრომის წითელი დროში ორდენის კავალერი (ასევე სხვა მრავალი ჯილდოს მფლობელი), სკეპ XXI ყრილობის დელეგატი, საქართველოს სსრ I-V მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საკავშირო მინისტრების პერსონალური პენსიონერი, სტახანოვური მოძრაობის პერსონალური პენსიონერი, საქართველოში, მარგანეცის წარმოების ერთ-ერთი პიონერი საქართველოში, მარგანეცის წარმოების ერთ-ერთი ინიციატორი – ტრიონ ფონ ფონხაძე;

1953-1972 წლებში საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის – ვასილ მუჟავანაძის დავის უფროსი – კაპიტონ გაფრინდაშვილი;

სოფ. ნიგვზარაში დაბადებული და გაზრდილი, შემდეგში კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სახელმწიფო კონორეჟისორი, საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშავი, რესპუბლიკური მინისტრების პერსონალური პენსიონერი – ზაქარია (ზაქრო) ხარშილაძე, რომელმაც მინისტრების ადგილი დაიმკიდრა ქართული კინოს განვითარების ისტორიაში: იყო მეორე რეჟისორი ფილმებზე: „ქრიჭინა“ (1954), „მაგდანას ლურჯა“ (1955), „ქართული ბალეტის ოსტატები“ (1955), „ჩვენი ეზო“ (1956), „ქალის ტვირთი“ (1957), „ორი ოჯახი“ (1958), „კარდაკარ“ (1960), „განძი“ (1961), „ზღვის ბილიკი“ (1962), „ცისკორს ზარბაზ“ (1967), „ჯვერიკმული კუნძული“ (1968), „ჩემი ქალაქის ვარსკვლავა“ (1970), „წყალი დიდობა“ (1971), „მხიარული რომანი“ (1972), ანარეკლი (1974) და ა.შ.

სამწუხაროა, რომ დასახელებულ პირთა უმრავლესობა კარგა ხანია დაემშვიდობა მშობლიურ სოფელს, რაიონს, ქვეყნას, მაგრამ იმედს ცნობილი გერმანიური ბედა დარღვევა დარღვევა მოწინავე მუშავებზე.






მწერალის, მაზროვნისა და სახელმწიფო მოღვაწის იმპარატორის ვოლფგანგ გოეთეს სიტყვები მაძლევს: „ვისაც თავის დროში სამაგალითოდ უცხოვრია, ის ყველა დროში ცოცხლობს“. ქედს ვიხრი მათი ნათელი ხსოვნის წინაშე. მადლობა, დიდი მადლობა ამ უნიჭიერეს და საქმიან ადამიანებს.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ სწორედ „ხუცების უბანში“ დაბადებულმა, ს. კორპოულის №1 სამუალო სკოლის აღზრდილმა, ნიჭიერმა ქალბატონმა, პროფესიული ფილოლოგმა ნათელა მაჭარაშვილმა 2004 წელს გამოსცა საკუთარი ლექსების კრებული „სიმგანყვეტილი უხმოდ მოსთქვამს დედის გიტარა“ ავტორმა იგი დედის – ამავე სკოლის ცედაგოგის ქ-ნ ქეთევან მოსაშვილის ნათელ ხსოვნას მიუძღვნა. კრებულმა გამოსვლისთანავე დაიბურო მკითხველთა გულები და იმერეთის რეგიონში იშვიათად თუ ჩატარდება ლონისძიება, რომ მისმა მონაწილე ზეპირად არ წარმოოქმნას რომელიმე მათგანი.

ამავე სკოლის აღზრდილმა, 8 წიგნის ავტორმა, ისტორიკოსმა, პოლიციის პოლიოვნიკმა, საქართველოს შს სამინისტროს დამსახურებულმა მუშავმა, სახალხო განათლების ნარჩინებულმა და სხვა მრავალი ტიტულის მფლობელმა ვიტალი ხარშილაძე 2018 წელს გამოსცა კიდევ ერთი საინტერესო წიგნი სახელმწიფო დიპილომი „კორპოული“, რომელიც მოგვითხოვთ სიტყვლის ისტორიაზე, მოსახლეობაზე, მათ გვარებზე, აქ მოღვაწე სასულიერო პირებზე, ეკლესიებზე, განათლების სისტემის კერძება და პედაგოგებზე, სოფლის მმართველობასა და სხვა-დასხვა დარგის მოწინავე მუშავებზე.

მათი ცხოვრება სანიმუშო მაგალითითა იმისა, თუ როგორ უნდა ემსახურო საკუთარ ხალხს, სამშობლოს. მათი წვლილი ისტორიის კუთვნილებაა და თაობიდან თაობას გადაეცემა.

რევაზ მაჭარაშვილი



წლები	მოსახლეთა რაოდენობა სპოლაში		
	ვაჟი	ქალი	მთლიანად
1886	39	—	39
1888	60	—	60
1889	52	—	52
1890	45	2	47
1891	38	—	38
1892	50	—	50
1893	45	—	45
1894			